

აუტიზმის მქონე ბავშვების დისტანციური სწავლება კოვიდ-19 პანდემიის დროს

ნინო გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნინო გელაშვილი

10.06.2021

სარჩევი

მადლობა.....	4
აბსტრაქტი.....	5
Abstract.....	6
შესავალი.....	7
აუტისტური სპექტრის აშლილობა.....	8
ჩარევა.....	10
ინკლუზიური განათლება.....	11
კვლევის აქტუალობა და მიზანი.....	13
საკვლევი კითხვები.....	13
ლიტერატური მიმოხილვა.....	13
მეთოდოლოგია.....	24
<i>კვლევის მონაწილეები.....</i>	<i>24</i>
<i>კვლევის პროცედურა.....</i>	<i>24</i>
<i>კვლევის ინსტრუმენტები.....</i>	<i>25</i>
შედეგები.....	25
მონაცემთა ანალიზი.....	34
დასკვნა.....	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	38
დანართი 1.....	41
დანართი 2.....	47

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან კახიანს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სწავლებისთვისა და მხარდაჭერისთვის, ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი კვლევის მონაწილეებს, რომელთაც გამონახეს დრო და მიიღეს კვლევაში მონაწილეობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამაგისტრო ნაშრომი გამოყენებულია „სამაგისტრო სემინარისა“ და „აკადემიური წერის“ კურსის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ლექტორებთან შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისად, მოცემული ნაშრომი არ შეიცავს რაიმე სახის პლაგიატს ან თვითპლაგიატს.

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში საუბარია აუტიზმის მქონე ბავშვების დისტანციურ სწავლებაზე კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში. აუტიზმის სპექტრთან დაკავშირებულ სირთულეებს შორისაა ცვლილებები და ახალ სიტუაციებთან ადაპტაცია, სრული ლოქდაუნის პერიოდში კი, როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში სწავლა გადავიდა ონლაინ რეჟიმში. კვლევის მიზანია გაარკვიოს ის, თუ როგორი იყო აუტიზმის მქონე ბავშვების დისტანციური სწავლება პანდემიის პერიოდში, რა სირთულეები და გამოწვევები შეხვდათ ბავშვებს, მათ მშობლებს და როგორ დაძლიეს ეს ყველაფერი. საკვლევი კითხვები შემდეგნაირადაა ფორმულირებული: 1. სწავლის რა მეთოდებს იყენებდნენ მშობლები ბავშვებთან მიმართებაში კოვიდ 19 პანდემიის დროს? 2. რა შეიცვალა განათლების კუთხით ბავშვების ცხოვრებაში პანდემიის დროს? 3. რა შეიცვალა ქცევის თვალსაზრისით ბავშვების ცხოვრებაში პანდემიის დროს? კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტიზმის მქონე ბავშვის ათმა მშობელმა, აქედან 7 იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 3-მამრობითი. ბავშვების ასაკი იყო 8-12 წლამდე. მშობლები მოვიძიეთ ერთ-ერთი სოციალური ქსელის საშუალებით. თავდაპირველად გავწევრიანდი ჯგუფში, სადაც იყვნენ აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები, ხოლო ამის შემდეგ მათ გავაცანი ჩემი კვლევის მიზანი და ამოცანები. ინფორმირებული თანხმობის შემდეგ მშობლებთან ჩავწერე ინტერვიუები. მოპოვებული მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზით. კვლევის შედეგად გამოვლინდა ის, რომ დისტანციური სწავლება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, როგორც აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის, ასევე მათი მშობლებისთვისაც. ინტერვიუს პროცესში მშობლებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტები გამოყვეს. პირველ რიგში, რუტინის ცვლილებამ და სოციალური ურთიერთობების შეზღუდვამ უარყოფითად იმოქმედა ბავშვებზე, პანდემიის დაწყებამდე კი მათ ჰქონდათ გარკვეული რუტინა შემუშავებული, ამ ყველაფერმა გამოიწვია კვებისა და ძილის რეჟიმის შეცვლაც. თითქმის ყველა მშობელმა აღნიშნა, რომ ლოქდაუნის პერიოდში ისინი და ბავშვებიც უფრო მეტად გაღიზიანებულები გახდნენ, შესაბამისად მოიმატა შფოთვამ და სტრესმა. რესპოდენტთა უმრავლესობამ ლოქდაუნის დადებით მხარეზეც ისაუბრა. მათი აზრით, ისინი ლოქდაუნისა და პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდნენ, ამის მიზეზი კი იყო შვილებთან დიდი დროის გატარება.

Abstract

This paper discusses the distance learning of children with autism during the Covid 19 pandemic. Difficulties with the autism spectrum include changes and adaptation to new situations, but during the full lockdown, studies in Georgia and around the world went online. The aim of the study is to find out how distance learning for children with autism occurred during the pandemic, what difficulties and challenges children faced with their parents, and how they overcame it all. The research questions are formulated as follows: 1. What learning methods did parents use towards their children during the Covid 19 pandemic? 2. What has changed in the lives of children in terms of education during the pandemic? 3. What has changed in terms of behavior in a child's life during a pandemic? The study involved ten parents of children with autism, 7 of whom were female and 3 were male. The children were aged 8-12 years. I found the parents of the children through one of the social networks. I first joined a group where parents of children with autism were present, and then I introduced them to the purpose and objectives of my research. After informed consent, I recorded interviews with parents. The obtained data were processed by thematic analysis. The study found that distance learning proved to be quite difficult for both children with autism and their parents. In the interview process, the parents highlighted quite important aspects. First, the change in routine and the restriction of social relationships had a negative impact on children. Even before the pandemic, they had developed a certain routine, all of which led to changes in diet and sleep. Nearly all parents reported that during the Lockdown period, they and their children became more irritable, resulting in increased anxiety and stress. The majority of respondents also spoke on the positive side of Lockdown. According to them, they became even stronger during the period of Lockdown and the pandemic, and the reason for this was spending a lot of time with their children.